საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №205/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 9 დეკემბრის №205 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 თებერვლის №205/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლის 15 აგვისტოს, ადმინისტრაციულ საქმესთან №-- დაკავშირებით, განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს თავმჯდომარეს და მოითხოვა პირდაპირი განაწილების წესით საქმის მოსამართლეზე გადაცემა, რადგან მხარის მოსაზრებით მოსამართლე -- -- აჭიანურებდა საქმის განხილვას. საჩივრის ავტორის მითითებით, -- -- სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნულ განცხადებაზე რეაგირება არ მოახდინა.

1.2. ამასთან, სასამართლოს თავმჯდომარემ არ განიხილა 2019 წლის 12 ნოემბრის საჩივარი, რომლითაც მხარემ მოითხოვა საქმის პირდაპირი განაწილების წესით მოსამართლე -- -- გადაცემა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 17 ივნისს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, -- -- სასამართლოსა და -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2019 წლის 18 ივნისის განჩინებით მოსარჩელე -- -- სარჩელზე და სარჩელში უზრუნველყოფის თაობაზე დაყენებულ შუამდგომლობაზე, დაუდგინდა ხარვეზი და მოსარჩელეს განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღე.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2019 წლის 24 ივნისის განჩინებით მოსამართლე -- -- სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის №-- გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, -- -- გათავისუფლდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნა -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2019 წლის -- --.

საქმის განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, 2019 წლის 17 ივლისს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 ივლისის მოსამართლე -- -- განჩინებით მოსარჩელე -- -- სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღის ვადით.

2019 წლის 6 აგვისტოს საქმე შემთხვევითი განაწილების პრინციპით განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, ხოლო საქმის ძირითადად განმხილველ მოსამართლეს პირდაპირი განაწილების წესით გადაეცა 2019 წლის 10 სექტემბერს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 6 თებერვლის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 9 დეკემბრის №205 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები ნაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ხოლო მესამე პუნქტის შესაბამისად, საქმეთა ავტომატურად განაწილების ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას დასაშვებია მოსამართლეთა შორის საქმეების ელექტრონული სისტემის გარეშე, რიგითობის წესით განაწილება, რაც გულისხმობს საქმეების შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას.

მნიშვნელოვანია, რომ ვენეციის კომისია 2014 წლის 14 ოქტომბრის დასკვნაში პირდაპირ უთითებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილება, გაანაწილონ საქმეები მოსამართლეთა შორის, დისკრეციის ელემენტებს გულისხმობს, რაც შეიძლება ბოროტად იქნას გამოყენებული, როგორც მოსამართლეზე ზემოქმედების საშუალება, მაგალითად მოსამართლის ზედმეტად დატვირთვა დიდი რაოდენობის საქმეებით, ან მოსამართლისთვის მხოლოდ მცირე მნიშვნელობის საქმეების მიცემა. სასამართლოში საქმეთა განაწილება უნდა მიჰყვებოდეს წინასწარ დამკვიდრებულ ობიექტურ კრიტერიუმს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირის უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. ამ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს საქმის მხარემ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც რაიმე ფორმით დაინტერესებულია საქმის შედეგით.[1]

ამ და სხვა რეკომენდაციის გათვალისწინებით სასამართლო სისტემის მესამე ტალღის რეფორმის შედეგად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელდა ცვლილება. ორგანულ კანონს დაემატა 58[1] მუხლი, რომელიც აწესრიგებს საქმეთა განაწილების წესს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილების ამოქმედების შემდეგ საქმეთა განაწილება მოხდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საქმეთა თანაბარი და შემთხვევითი განაწილების პრინციპების დაცვით.[2]

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი“, რომლითაც რეგულირდება სისტემის მეშვეობით მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე.[3]

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის უმთავრეს მიზანს საქმეთა შემთხვევითი განაწილება წარმოადგენს, თუმცა სისტემამ ფორმალურად უზრუნველყო ასევე სასამართლოს თავმჯდომარეების მხრიდან საქმეთა განაწილების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება, საქმეთა განაწილების პროცესიდან მათი დისტანცირება და მოსამართლეთა მეტ-ნაკლებად თანაბარი დატვირთულობა.[4]

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 01 მაისის №1/56 გადაწყვეტილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილება, გარდა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხორციელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი გულისხმობს ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმის განაწილებას ამ წესით დადგენილი პროცედურის დაცვით ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი

---

[1] ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე“ CDL-AD(2014)031, პუნქტი 69, https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)031-geo

[2] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათი https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/84869?

[3] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 58[1] ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676

[4] საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტი Gdi, თბილისი 2019, გვ.5

კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე. ამავე გადაწყვეტილების მე-3 მუხლი განაწილების პრინციპიდან საგამონაკლისო განაწილების წესს ადგენს.

ამავე წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მოსამართლის შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საქმეები გადაეცემა ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად შერჩეულ მოსამართლეს. სამსახურებრივი უფლებამოსილების განახლების შემდეგ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა"-„ი" ქვეპუნქტებითა და მე-3-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საქმეები უბრუნდება თავდაპირველ მოსამართლეს, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმეები მოსამართლის მიერ მოხსენებითი ბარათით მიმართვის შემთხვევაში დაუბრუნდება თავდაპირველ მოსამართლეს. ამდენად, სასამართლოს თავმჯდომარეს გამონაკლის შემთხვევებში უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმის განაწილების პროცესში.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ -- -- სარჩელი თავდაპირველად განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, თუმცა მოსამართლის სხვა სასამართლოში გადასვლიდან გამომდინარე, -- -- სარჩელი დადგენილი წესის შესაბამისად შემთხვევითი განაწილების პრინციპით განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- -- 2019 წლის 17 ივლისს.

2019 წლის 10 სექტემბერს საქმე პირდაპირი განაწილების წესით განსახილველად გადაეცა საქმის თავდაპირველად განმხილველ მოსამართლე - -- --, რაც სრულ შესაბამისობაშია „საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებასთან. ამდენად, -- -- სასამართლოს თავმჯდომარე კონკრეტული საქმის განაწილებისას მოქმედებდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და რაიმე სახით განაწილების წესში ჩარევას ადგილი არ ჰქონია. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საჩივრის ავტორის მითითება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე -- -- აჭიარანურებდა კონკრეტული საქმის განხილვას არ დასტურდება, რადგან მოსამართლის წარმოებაში საქმე იმყოფებოდა მხოლოდ 1 თვე და 3 დღე.

რაც შეეხება 2019 წლის 12 ნოემბრის საჩივარს, სადაც -- -- ითხოვდა №-- საქმის განხილვიდან მოსამართლე -- -- ჩამოშორებას და საქმის პირდაპირი განაწილების წესით სხვა მოსამართლეზე გადაცემას, საჩივარი დაერთო საქმის მასალებს. ამასთან, მოსამართლე -- -- შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ დადგენილი წესით საქმე გადაეცა განმხილველ მოსამართლეს. შესაბამისად, მხარის ინტერესი მოსამართლე -- -- საქმის განხილვიდან ჩამოშორების შესახებ ფაქტობრივად დაკმაყოფილდა.

ამდენად, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა, მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №205/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი